

მერაბ ბაბუხაძია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ტრიალოგური“ სისტემის ეფექტურობა მეორე ენის სწავლებისას

აბსტრაქტი

სტატია პირველი ცდაა მეორე ენის მეტყველების ჯგუფური შესწავლის ორიგინალური მეთოდის - „ტრიალოგური თეორიის“ ეფექტურობისა და უპირატესობის დასაბუთებისა სხვა, კერძოდ, სწავლების დიალოგურ მეთოდთან შედარებით.

საკვანძო სიტყვები: მეორე ენის მეტყველების შესწავლის ტრიალოგური თეორია; ორიგინალური, მეთოდოლოგიური ინოვაცია.

ქართულის, როგორც მეორე / უცხო ენის სწავლების მეთოდიკაში მრავალი სახელმძღვანელო დაიწერა უკანასკნელ წლებში, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, თანამედროვე სტანდარტებს პასუხობენ, რაც მომავალში ქართული ენის სწავლების საქმეს ერთიანად წინ წასწევს და იმის მყარ საფუძველს იძლევა, რომ მეთოდიკის

შემდგომი დახვეწა-განვითარებისათვის სათანადო ბაზა ჩამოყალიბდეს. თუმცა, ჩვენი აზრით, არსებითი ცვლილებები მაინც საჭიროა სწავლების მეთოდების დახვეწის მიმართულებით, კერძოდ კი - შესასწავლი ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ამის გასაღებია ენის პრაქტიკულ გამოყენებაზე მაქსიმალური

ყურადღების კონცენტრირება. ეს გვიკარნახავს წლების განმავლობაში თსუ-ში არაქართულენოვან სტუდენტებთან და, კონკრეტულად, აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილებამ.

უნდა ითქვას, რომ რამდენიმე ათეული წლის წინ გამოცემული ქრესტომათიები და სახელმძღვანელოები არ ითვალისწინებდნენ უცხოენოვანი სტუდენტებისა თუ მოსწავლეების საჭიროებებს იმ სიღრმითა და სიზუსტით, რაც მათ ენის დაუფლებისათვის ესაწირობათ.

მეორე ენის სწავლების უმთავრესი ამოცანაა კომუნიკაცია, ურთიერთობა, რომელიც განსაზღვრავს კიდევ მთლიანად სწავლის პროცესს (ხუ, ჰუახინი, 2008). ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ენა პრაქტიკულად უნდა გამოვიყენოთ ზეპირი თუ წერილობითი ურთიერთობის მიზნით. ჩვენი მიდგომა და ყოველდღიური გაკვეთილები მხოლოდ რეალური, ცოცხალი ენის შესწავლას გულისხმობს. რეალურ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს - ცოცხალ მასალას და არა ხელოვნური, შეთხზული ტექსტების დასწავლას...

სტუდენტებს მუდამ უნდა შევახსენოთ ეს მიზანი, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ გრამატიკულ შეცდომებს უშვებთ, მაგრამ თქვენი გაგება შესაძლებელია, და იმის გაგება შეგიძლიათ, რასაც თქვენი თანამოსაუბრე გეუბნებათ, ჩათვალეთ, რომ დასახულ ამოცანას თავს ართმევთ. მაგრამ, თუკი მთელი ტექსტის თარგმნა შეგიძლიათ და გრამატიკულ ტესტებს იოლად აუდიხართ, მაგრამ უბრალო წინადადების წარმოთქმაც კი არ შეგიძლიათ, მაშინ თქვენს სწავლა-განათლებას სერიოზული ხარვეზი ჰქონია. ამ ამოცანის გადასაჭრელად ისარგებლეთ ერთ-ერთი მთავარი მუშაობის სახეობით, რომელიც გამუდმებით უნდა არსებობდეს უცხო ენის შესწავლისას - მუშაობა **ტრიალოგებით**.

ჯგუფური მეცადინეობა საშუალებას იძლევა **ტრიალოგური მეტყველება** სრულად გამოვიყენოთ, რაც სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას იწვევს ინტენსიურ მეტყველებაში.

რას ნიშნავს ტრიალოგი? ქვემოთ შევეცდებით ზუსტად გნვსაზღვროთ და განვმარტოთ, რა არის ტრიალოგი და რა უპირატესობა აქვს მას დიალოგურ მეტყველებასთან შედარებით.

თანამედროვე პედაგოგიკური მეცნიერების ყველაზე მწვავე პრობლემათაგანი არის ენის **დიალოგური მეთოდის** ეფექტური გამოყენება. სწავლების თანამედროვე ეტაპზე დიალოგური მეტყველება ვერ უზრუნველყოფს შესასწავლ მეორე ენაზე დაუბრკოლებელ საუბარს. სწორედ ეს მიზეზი აპირობებს უფრო რაციონალური და ეფექტური ხერხებისა თუ მეთოდების გამოყენებას სამეტყველო უნარების ჩამოყალიბების საქმეში (ტაილერი, რალფი, 2008). ამავდროულად, მეორე ენის შესწავლის პროცესი მის თანამონაწილეებს უფრო საინტერესოდ და სახალისოდ უნდა მიეწოდოს.

თავად დიალოგური მეტყველება არცთუ ისე დიდი ხანია, რაც დამკვიდრდა როგორც დამოუკიდებელი ასპექტი ზეპირმეტყველების განვითარებისა. ამიტომ ამ სფეროში მრავალი საკითხია, რომელიც თეორიულ გააზრებასა და ექსპერიმენტულ კვლევას მოითხოვს, კერძოდ, დიალოგური და მონოლოგური მეტყველების ურთიერთმიმართება სასწავლო კურსის გადაცემისას, სიტუაციების შერჩევა, რომელიც

სწავლების სხვადასხვა ეტაპს უდევს საფუძვლად; ლექციის დროს სამეტყველო სიტუაციის შექმნა, მასალის შერჩევა დიალოგისას.

წინამდებარე სტატიის მიზანია ტრიალოგური მეტყველების ანალიზი თეორიული და მეთოდოლოგიური კვლევის თვალსაზრისით; მეტყველების ტრიალოგური მეთოდით სწავლების არსის ახსნა; დიალოგური მეტყველების ფსიქო-ლინგვისტური მახასიათებლების გამოაშკარავება; ტრიალოგური მეტყველების მეთოდები და ხერხები მეორე ენის შესწავლის საქმეში; სავარჯიშოებისა და მთელი სარეკომენდაციო მეთოდური პაკეტის შემუშავება ტრიალოგური მეტყველებისას.

ამისათვის საჭიროა ტრიალოგური მეტყველების სწავლების პროცესის, აღწერისა და სინთეზის მეთოდების თეორიული გააზრება.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება მისი გამოყენებით მეორე ენის სწავლების საქმეში.

დიალოგური მეტყველებას მრავალი მახასიათებელი აქვს. აქ თავს იყრის სამეტყველო ნიმუშები, შესიტყვებები,

მთლიანად ენობრივი სტრუქტურები, რომლებიც მონოლოგური მეტყველების-თვისაც გამოიყენება.

სასწავლო დიალოგი არსებითად ცოცხალი ურთიერთობის სიმულატორია, რომელიც რეალური საუბრის არსია, სასაუბრო კლიშეებითა და ჩამოყალიბებული ფრაზებითურთ. მხოლოდ ტრიალოგს შეუძლია საურთიერთო ტრენირება, რათა შემდეგ პრაქტიკაში ის წარმატებით გამოიყენოთ. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულ პირთა დაყოფას სერიოზული ალტერნატივა აქვს - მოყოლებული ე. ბენვენისტიდან (ბენვენისტი, 1974) დღემდე და სუბიექტი და ობიექტები ინიციატორად, ექსეკუტორად, აგენსად, პაციენსად და ბენეფაქტივებად მოიხსენებიან (უთურ-გაიმე, 2002), სწავლების პროცესში ისინი მაინც ტრადიციულ სტატუსს ინარჩუნებენ და შეურყევლად რჩებიან სუბიექტად და პირმომართ ობიექტებად. ჩვენც ტრადიციულ გრამატიკულ პირიელ დაყოფას გვერდს ვერ ავუვლით.

აქამდე დიალოგი მიჩნეული იყო და არის (ნაწილობრივ სამართლიანადაც) მეტყველების გზით ენის გატეხვის ერთ-

ერთ მძლავრ საშუალებად, სადაც მესამე პირი სპორადულად არის ჩართული და მასწავლებლის გუნება-განწყობილებაზეა დამოკიდებული, თუ როდის მოიხსენიებს მას. არადა, რეალურ მეტყველებისას მისი იშვიათი ხმარებაც კი დაფიქრებისა და მოტორული მეტყველების სერიოზულ დაბრკოლებად გადაიქცევა. მეტყველების დაბრკოლებას მოსდევს არასრულფასოვნების კომპლექსის გაღრმავება, რაც კიდევ უფრო ძნელი გამოსასწორებელია და უმძიმეს ფსიქოლოგიურ ბარიერად აწევს შემსწავლელს.

იმისათვის, რომ შეივსოს ეს ხარვეზი, აუცილებლად მიგვაჩნია სწავლების დიალოგურ მეთოდს ჩაენაცვლოს ტრიალოგური მეტყველების *(კითხვა-მიგების)* მეთოდი, სადაც მესამე პირს ზუსტად იგივე ხვედრითი წონა აქვს, რაც მეორე პირს, ეს კი მყარ საფუძველზე გადაიყვანს მეტყველებაში არსებულ ხარვეზს - მესამე პირის სამეტყველო პრაქტიკაში გამორიცხვას ან ძალზე დაბალი სიხშირით ხმარებას. ამის დასტურია თავად დიალოგური მეტყველება, სადაც მეორე პირის ხმარების სიხშირე სავსებით უზრუნველყოფს მოტორულ მეტყველებას

პირველი-მეორე პირის ფარგლებში. **შესაბამისად, სწავლების ტრიალოგური მეტყველება არის დიალოგურ მეტყველებას პლუს მესამე პირი, მეორე პირის ტოლფარდი ხვედრითი წონით.**

ამჯერად ორიოდ პრაქტიკული მაგალითით დავკმაყოფილდებით, თორემ ასეთი მაგალითები უამრავია და მოცემული გვაქვს ჩვენს სახელმძღვანელოში „იმეტყველეთ ქართულად“ (ბაბუხაძია, 2014):

(I-II პირი) > მე მერაბი *მქვია*. შენ რა *გქვია*?

(პასუხი - I) მე მქვია ომარი >

(პასუხი II) მე მქვია გიუნელი >

(შეკითხვა - II) მას რა ჰქვია? >

(პასუხი - II) მას ჰქვია გიუნელი >

(პასუხი - II) მას ჰქვია ომარი...

ასე გრძელდება უკვე მასწავლებლის გარეშე სტუდენტებს შორის კითხვა-პასუხი და ის მრავალჯერ განმეორდება, ვიდრე სტუდენტები ავტომატიზმამდე არ დაიყვანენ სწორ პასუხს.

როგორც ვხედავთ, პირველ პირზე მოდის სამი კითხვა, ხოლო მეორე და მესამე პირზე ორ-ორი. ეს პროპორცია იდეალურია დამახსოვრებისა და მეტყველებაში მისი გამოყენების თვალსაზრისით.

დიალოგში კი სურათი ასეთი იქნება: (I-II პირი) > მე მერაბი *მქვია*. შენ რა *გქვია*? – (პასუხი - I) მე მქვია ომარი > (შეკითხვა - II) > შენ რა *გქვია*? (პასუხი I პირი) მე მქვია გიუნელი. ზემოთ მოყვანილი სქემა არათუ სრულია, არამედ ძალზე ნაკლულია. სწორედ მესამე პირის იგნორირებაა მთავარი წყარო მეტყველების ჩამოუყალიბებლობისა, მისი დეფექტური, ფრაგმენტული გადმოცემისა და კოჭლობისა. თუკი ინფორმაცია სრულად არ იქნება მიღებული, მას სრულადვე ვეღარ გასცემ.

გზადაგზა ტრიალოგური მეტყველება იძლევა საშუალებას, აღმოიფხვრას ყველა დეფექტი, რაც უცხოენოვან სტუდენტებს ახასიათებს და წესი ადვილად იქნეს გამოყვანილი, რომელიც პრაქტიკიდან ეძლევა თეორიის სახით და არა პირიქით, თანაც ძალზე მოკლედ და გამჭვირვალედ. გრამატიკული მოწყენილობა ცოცხლად მიმზიდველ მარტივ ფორმულად წარმოდგება (თუმცა, მიგვაჩნია, რომ მაინცდამაინც გრამატიკული ფორმულების მიცემა აუცილებელი არ არის):

მაგალითად:

მე მქვია ომარ - არა, ომარ-ი
(სახელობითი ბრუნვის ნიშანია
ქართულში, რაც უცხოა ინდოევ-
როპული ენებისათვის),
მე მ-ქვია, შენ გ-ქვია, მას კ-ქვია და არა
ის კ-ქვია. ანუ სადაც გვაქვს მ, გ, კ ან
ნულოვანი პირის ნიშანი, იქ გვექნება
მას, ხოლო ვინის რიგში - ის. მე
სტუდენტი ვ-არ, შენ სტუდენტი ხ-არ,
ის სტუდენტი არის.

უფრო მოკლედ, სქემატურად, ასე
ჩავწერდით:

მ -
გ - მას
კ - ან 0
პ -
ო - ის

-ს
ვიმეორებთ, ეს შეიძლება მხოლოდ
დაინტერესების შემთხვევაში. ისე,
ფორმულებისგან და სქემებისგან თუ
მაქსიმალურად თავს შევიკავებთ და
მასალის მიწოდების ინტენსიფიკაციას
გავზრდით, გაცილებით უკეთეს შედეგებს
მივიღებთ...

დაბოლოს, მეტყველების ტრიალო-
გური სწავლების თეორია ორიგინალურია
და მეტყველების ჯგუფური შესწავლის
საქმეში ინოვაციაა. მისმა დამკვიდრებამ
მართლმეტყველებისა და მოტორული
მეტყველების საქმეში დიდი პროგრესის
მიღწევას უნდა შეუწყოს ხელი. ის ავსებს
დიალოგური მეტყველების ხარვეზს და
შესასწავლი ენის სრულფასოვნად
დაუფლების შანსს იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ხუ, ჰუახინი, Xu, Huaxin. "My Personal Philosophy in Teaching English as a Second Language: Some Methods I Used in Teaching English to Chinese Freshmen in Xi' a Foreign Language University." 2008.
- ტაილერი, რალფი, Tyler, Ralph W. "Nature of Learning Activities." Review of Educational Research. Vol. 1, No. 1, pp. 22-29. The Curriculum. Jan 1931. Jstor. 22Mar 2008.
- ბენვენისტი, მ. Бегнвенист. Общая лингвистика, М., 1974.
- უთურგაძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.
- ბაბუხაძია, იმეტყველეთ ქართულად (აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სტუდენტებისათვის) A1 დონე, თბ. 2014.